პოეტი, რომელიც ქადაგებდა,

მეჰმეთ აქიფ

muslim georgia

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

პოეტი "ჭეშმარიტ"
მეკმეული ოქროვი

25

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

ქურსის ძალა თუ პოეტის ქადაგება მეჰმეთ აქიფ ერსოი	7
მეჰმეთ აქიფი პოეტი მეჩეთში	14
მეჰმეთ აქიფის საუბრის სტილი	18
სულეიმანიეს მეჩეთის ქურსიდან	25
მეჰმეთ აქიფის სამაგალითო პიროვნებები	44
მეჰმეთ აქიფის ქადაგების მონახაზი	48

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

ჭეშმის ძალა თუ პოეტის ჭადაგება მეჰმეთ აქიფ ერსოი

ფულია იბანოღლუ

1936 წელს, თურქეთის ეროვნული ჰიმნის ავტორის მეჰმეთ აქიფის ეგვიპტიდან სამშობლოში დაბრუნებას არც პოლიტიკური და ლიტერატურული წრეებიდან და არც ხალხის მხრიდან დიდი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მეჰმეთ აქიფის დაბრუნების მიზეზი გაუარესებული ჯანმრთელობის მდგომარეობა იყო. ის თერთმეტი წელი წასული იყო და სამშობლო ძლიერ ენატრებოდა. ახალი თაობის ცნობიერებაში მისი სიკვდილის შესახებ მზაობა ისედაც იყო. პოეტს მისი მწერლობის თაყვანისმცემლები შეხვდნენ, მისი ჩამოსვლის შესახებ პრესაშიც დაიწერა, მაგრამ ამ ყველაფერს სერიოზული ცვლილება არ გამოუწვევია. ექვსი თვის განმავლობაში ებრძოდა აქიფი ავადმყოფობას და ბოლოს მიატოვა საყვარელი სამშობლო და მუდმივ სასუფეველში გაემგზავრა. აქიფმა იმ პერიოდის პოლიტიკურ და რელიგიურ სფეროებსა და ლიტერატურა-

ში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. ამის მიუხედავად მისი დაკრძალვა მოკრძალებული იყო. აქიფის ცხედარი მისი პოეზიის მოყვარულებმა ედირნექაფის სასაფლაოზე ხელით მიიტანეს. გარდაცვალებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ მის შესახებ დაიწყო მსჯელობა, რომელმაც ჩვენს სააზროვნო ყოფაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა. მსჯელობის საგანი აქიფის მოღვაწეობა იყო. გამოითქვა აზრი, რომ აქიფის მიერ დაწერილი ეროვნული ჰიმნი მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური ხასიათის სადიდებელი იყო. ჰიმნის კრიტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ჰიმნში გაჟღერებული რელიგიური პათოსი თანამედროვე თურქეთის ჰიმნისთვის შეუსაბამო იყო.

აქიფის პიროვნების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია გამოწვეული იყო იმით, რომ ის ძალიან მორწმუნე პიროვნება იყო. გარდა ამისა ომის პერიოდში მისი როლი განსაკუთრებული იყო. ის ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერი საშუალებით, მეჩეთში ქადაგება იქნებოდა, ხალხში გასვლა თუ სხვა, ხალხის გაერთიანებისკენ იბრძოდა. აქიფის სტამბოლიდან ანატოლიის კუთხეებში გამგზავრების მიზანი ხალხისადმი მორალური მხარდაჭერა და მათი სულიერად გაძლიერება იყო. ბალკანეთის ომის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ურთულესი სიტუაციის გასანე-

იტრალებლად ის ყველა ღონეს ხმარობდა. მათ შორის ცნობილია მისი გამოსვლები ფათიჰისა და სულეიმანიეს მეჩეთებში.

სინამდვილეში მისი და თანამებრძოლების ეს მცდელობა მუსლიმური ოსმალეთის სახელმწიფოს ტრადიციაში სერიოზული მნიშვნელობის მატარებელი იყო. საუკუნეების განმავლობაში ჯარის საბრძოლველად მომზადების საქმეში რელიგია უდიდეს როლს თამაშობდა. ისლამი ყოველთვის დიდ როლს თამაშობდა როგორც ჰორიზონტალური მიმართულებით ანუ ხალხის ერთიანობის თვალსაზრისით, ისე ვერტიკალური პრინციპითაც, რაც ხალხსა და სახელმწიფოს შორის კავშირების სიმყარეს განაპირობებდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი წვლილი ისლამის სწავლულებმა შეიტანეს, რომელთა როლი მრევლის ერთიანობისა და ერთი მიზნისკენ წაყვანის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

თანამედროვე სამყაროშიც რელიგიის როლი იგივე დარჩა და უფრო მეტიც, ტექნოლოგიებისა და საკომუნიკაციო საშუალებების განვითარებამ ამ როლის ეფექტურობა გაზარდა.

იმ დროისათვის მუსტაფა ქემალ ფაშამ კარგად იცოდა რელიგიის როლი და კონკრეტულად აქიფის ავტორიტეტი. მან ისიც

იცოდა, რომ თ აქიფი ხალხს პირადად დაელაპარაკებოდა, ეს იქნებოდა ყველაზე ეფექტური საშუალება საიმისოდ, რომ ხალხის გაერთიანება და სამშობლოს დასაცავად მომზადება მოეხერხებინათ.

აქიფი ქალაქიდან ქალაქში დადიოდა და ხალხს გაერთიანებისკენ მოუწოდებდა. ის ცდილობდა ეროვნული თანხმობის ჩამოყალიბებას. საუბრისას აიათებისა და ჰადისების მაგალითებს იშველიებდა. მისი გამოსვლები ბალიქესირსა და კასტამონში დიდი ეფექტის მატარებელი იყო და შემდეგ ეს ყველაფერი ტალღისებურად მოედო მთელ ანატოლიას. გამოსვლებისას აქიფი ამბობდა:

„მუსლიმემო! ყველა თქვენგანმა იცის, რომ ეს ჭეშმარიტი რწმენა და ეს დალოცვილი სამშობლო ჩვენთვის ღვთით ბოძებული ამანათია. ჩვენმა გმირმა წინაპრებმა ამ სამშობლოსთვის თავი გაწირეს. მათი სისხლი ნიაღვარივით მოდიოდა. ისინი ბრძოლის ველზე დაეცნენ, მაგრამ ისლამის დაცემა არ დაუშვეს. მათ დაიცვეს ეს დალოცვილი მიწა და მომხვდურს ამ მიწაზე ფეხის დადგმის უფლება არ მისცეს. მამებიდან შვილებზე საუკუნეების მანძილზე გადაცემული ეს ქვეყანა ჩვენამდე მოაღწია და ნუთუ დავუშვებთ, რომ ეს არ შევინარჩუნოთ?! ნუთუ იმ

სახელოვანი წინაპრების შთამომავლები არ ვართ?! წარმოიდგინეთ ის ადგილები, რომლებიც მუსლიმებმა უკვე დაკარგეს. ახლა იქ რომ მიხვიდეთ და ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიაროთ ერთ მუსლიმსაც ვერსად წააწყდებოთ. მოდით დავიცვათ ისლამის ეს უკანასკნელი იმედი და ამ მიწაზე მტერს ნუ გავაჭაჭანებთ“.

აქიფის სიტყვა არამარტო ძლიერ რწმენას, არამედ იმ პერიოდში ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, ზედმიწევნით გამოხატავდა. აქიფის მეგობარი ჰამდი ჩელენი, რომელიც გაზეთის რედაქტორი იყო, მოგვითხრობს:

„ეროვნული ბრძოლის ყველაზე მღელვარე დღეებში კასტამონში აქიფთან ერთად გატარებული დღეები მახსენდება. იმ დროს კასტამონში გაზეთის რედაქტორი ვიყავი. აქიფი ანკარიდან, ხოლო ეშრეფ ედიფი ინებოლუდან მოდიოდნენ. მათი მოსვლით კასტამონის ახალგაზრდულმა მოძრაობამ გაორმაგებულ მასშტაბებს მიაღწია. ხალხი მოძრაობაში ჩაერთო. აქიფი ნასრულლაჰის მეჩეთის ქურსზე ადის და ხალხს სევრის შეთანხმების დამღუპველ პირობებს აცნობს. ამ უზარმაზარ მეჩეთში ხალხი აღარ ეტევა. აქიფის უაზდო გამოსვლამ ადამიანთა გულები დაიპყრო. მისი ეს სიტყვა ანატოლიის ყველა

კუთხეში გავრცელდა. მას იმეორებდნენ ყველა კუთხეში ყველანაირი შეკრების ადგილას“.

ამ გამოსვლებმა ქვეყანაში გაჩაღებულ ხანძარს გრილი ნიავიავით ჩამოუქროლა და არამარტო ბრძოლის ველზე მყოფი ჯარისკაცები, არამედ მთელი ხალხი თავგანწირულ გმირებად აქცია. სხვადასხვა ფრონტზე მებრძოლი ჯარისკაცებისთის ასეთი გულითადი მიმართვა ახალი სისხლის გადასხმის ტოლფასი იყო. ელ ჯეზირას ფრონტის სარდალმა ნიჰათ ფაშამ აქიფს ტელეგრმა გაუგზავნა, რადგან მან მოისმინა აქიფის მიმართვა და ამით მადლიერება გამოხატა. ნიჰათ ფაშა წერდა, რომ აქიფის გამოსვლამ დიარბაქირის ხალხზე დიდი გავლენა იქონია და სასურველი იქნებოდა მისი ხმა სხვა რეგიონების ხალხსაც რომ მიწვდენოდა. აქიფის გამოსვლების ტექსტებს ფრონტის ხაზის ჯარიკაცებსაც ურიგებდნენ.

ბოლოს ეროვნულმა ბრძოლამ შედეგი გამოიღო, ომი გამარჯვებით დასრულდა და მშვიდობიანი აღმავლობის პერიოდი დაიწყო. ზოგიერთის სურვილის საწინააღმდეგოდ აქიფი პარლამენტის წევრად აირჩიეს. აქიფმა ეროვნული ჰიმნიც დაწერა და ამის გამო მეჯლისის ჯილდოც მიიღო. მეჯლისის წევრობის დასრულების

შემდეგ აქიფი მეგობრის რჩევით საცხოვრებლად ეგვიპტეში გადავიდა, ვინაიდან უმუშევრად დარჩა და მითუმეტეს პენსიაც კი არ დაუნიშნეს. გარდა ამისა ის პოლიციის მხრიდანაც თვალთვალის ქვეშ იყო. ეს ყველაფერი საკმარისი გახდა საიმისოდ, რომ ეგვიპტეში გადასახლებას დათანხმებოდა.

აღნიშნული საკითხი აქიფის გარდაცვალების შემდეგაც გაგრძელდა და მიმდინარეობდა კამათი. იყო მცდელობა, რომ აქიფის ეროვნული მიმართულებით გაწეული ღვაწლი გადაფარულიყო და მხოლოდ რელიგიურ პიროვნებად წარმოაჩენილიყო. იმ პერიოდში მისი მოღვაწეობა, მისი მოწოდებები უკიდურესად მნიშვნელოვანი იყო და ამ ყველაფერს ის სარწმუნოებიდან იღებდა. მისი ამ ღვაწლის და მეთოდის ნაკლად მიჩნევა დიდი შეცდომა იყო. აქიფი თავის სიტყვას ჭეშმარიტი რელიგიიდან იღებდა და ამ გზით ხალხს ჭეშმარიტებას აცნობდა.

მეჰმეთ აქიფი
პოეტი მეჩეთში

მეჰმეთ დოღანი

თურქეთის ეროვნული ბრძოლის პირველივე წლებიდან აქიფი ანატოლიის ერთ-ერთ ქალაქში, ბალიქესირში ჩავიდა. 1920 წლის 23 იანვარს ზადანოს ფაშას სახელობის მეჩეთის ქურსზე ავიდა და სიტყვა წარმოთქვა. მეჩეთი სრულებით სავსე იყო ასევე მეჩეთის გარეთაც დიდი ხალხმრავლობა იყო. აქიფმა თავისი სიტყვა აჰზაბის სურას 56-ე აიათით დაიწყო. შემდეგ ალი იმრანის სურას 103-ე აიათი წაიკითხა და განმარტა. აიათის განმარტებიდან გამომდინარე აქიფი მრევლს მოუწოდებდა ღვთის წიგნის ირგვლივ გაერთიანებულიყვნენ. შემდეგ საკუთარი ლექსი წაიკითხა და ისევ გააგრძელა.

როდესაც სამყარო იქცეოდა შენ იდექი და სეირს უყურებდი, ახლა კი საკუთარ სამშობლოში არარაობად იქეცი, ნათქვამი იყო მის ლექსში.

ჰიჯრით 14 ხოლო ჩვ. წ. აღ-ით მე-20 საუკუნეში თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პიროვნების მეჰმეთ აქიფის ეროვნულ ბრძოლაში ჩაბმა სულაც არ იყო გასაკვირი. ბალკანეთის ომის უმწვავესი შედეგების კვალდაკვალ მისი გამოსვლები სტამბოლის მთავარ მეჩეთებში, იმ პერიოდის აუცილებლობად იქცა.

1919 წელს, როცა სამშობლო დიდი ტკივილის განცდით იყო შეპყრობილი, პოეტის შემოქმედებაც მწუხარებამ მოიცვა, რაც იმ პერიოდში დაწერილ ლექსებშიც მკაფიოდაა გამოხატული. ქვეყნის შიდა თ გარეშე მტრები ყოველ ღონეს მიმართავდნენ, რომ ქვეყნა უსკრულშ გადაეჩეხათ და აქიფის მწუხარების მიზეზიც ეს იყო.

თანამედროვე ეპოქის დიდი პიროვნებებიდან ერთ-ერთი გამორჩეული მეჰმეთ აქიფი იყო. ის ისლამის პოეტად იყო ცნობილი. მისი ქცევებისა და ცხოვრების სტილის გათვალისწინებით ეს სტატუსი მისთვის შესაფერისი იყო. ის როგორც ღრმადმორწმუნე მუსლიმი ცხოვრების ყველა სფეროში შესაბამისად იქცეოდა. მისი ყოველდღიური ცხოვრება ისლამის მიხედვით იყო განსაზღვრული და ამასთანავე მისი პოეზიაც ისლამით იყო შთაგონებული.

მეჰმეთ აქიფი მაშინ აღიზარდა და მოღვაწეობდა, როცა საკომუნიკაციო საშუალებები გავრცელებას იწყებდა. იმ პერიოდიდან დაწყებული ტექნოლოგიური წინსვლა თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდებოდა. ამის მიუხედავად კაზეთები და ჟურნალები უმეტესწილად გადათარგმნილ სტატიებს ავრცელებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ თურქულ პოეზიას საკმაოდ მდიდარი წარსული ჰქონდა, გაზეთებსა და ჟურნალებში მეტწილად დასავლური პოეზიის ნიმუშები იბეჭდებოდა.

შექმნილ სიტუაციაში აქიფის წერის სტილი სრულიად ახლებურად შეიძლება ჩაითვალოს. ამ დროს დაიწყო ისლამური ლიტერატურული ნაწარმოებების ბეჭდვა და გავრცელება. გამოდიოდა ჟურნალი, სახელწოდებით „სებილურეშად“, სადაც აქიფის სტატიები, ლექსები, ჰადისები და აიათები იბეჭდებოდა.

აქიფის ლექსებს თუ ყურადღებით დავაკვირდებით სერიოზულ დასკვნებს გამოვიტანთ. მისი ლექსები კლასიკურ თურქულ ლექსებს არ ჰგავს. მისი სტილი განსაკუთრებული იყო და ლექსებს ერთიანი საერთო ხაზი გასდევდა, რომლის მიხედვითაც აქიფი მკითხველს მოძღვრავდა.

აქიფი თავისი რწმენის სიძლიერისა და ცოდნის წყალობით ლექსებში რელიგიურ მოძღვრებას დებდა. მისი ეს სტილი, რომელიც პოეზიით რწმენის გავრცელებას გულისხმობდა, საკმაოდ ეფექტური იყო. მისი ლექსები რწმენის, კარგი ქცევების, მაღალი ზნეობის მოწოდებებით იყო განმსჭვალული. მეჩეთებში ქადაგებისას გამოყენებულ ცოდნას ლექსებითაც გადმოსცემდა. ქადაგებისას ხშირად რელიგიური ხასიათის იგავებს იშველიებდა და მხატვრულად გადმოსცემდა. ზოგჯერ იგავებს მიმდინარე მოვლენებთან აკავშირებდა და ეფექტურ პარალელებს ავლებდა. ზოგჯერ კი რელიგიურ ბრძანებს პირდაპირ და მკაფიოდ გადმოსცემდა.

მეჰმეთ აქიფის მთლიანი შემოქმედება 7 წიგნშია თავმოყრილი. ამ შვიდიდან ორი მთლიანად რელიგიური შინაარსისაა. ამ წიგნებში მთლიალნი ისლამური სამყაროს პანორამაა წარმოდგენილი. განხილულია ისლამისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. მუსლიმებს ის ყოველთვის ერთიანობისკენ მოუწოდებდა.

მეჰმეთ აქიფის საუბრის სტილი

მუსტაფა ოზჩელიქი

მეჰმეთ აქიფი იმდროინდელი სხვა პოეტების მსგავსად მხოლოდ ლექსებით არ იყო ცნობილი. აქიფის ლექსები საზოგადოების ყველა ფენისთვის საინტერესო იყო და გაზეთებში და ჟურნალებში გამოქვეყნებულ ლექსებს ყველა კითხულობდა. ამრიგად ის სახალხო პოეტიც იყო.

აქიფის ამ კატეგორიის პოეტად ჩამოყალიბება, უპირველეს ყოვლისა, მისი ხელოვნებისადმი დამოკიდებულებამ განაპირობა. ის ამბობდა, რომ იმ დროიდან, როცა საკუთარი თავი ხალხის წინაშე იხილა, მთელი მისი ნიჭი და უნარი ხალხის პრობლემებს შესწირა. მან შექმნა საზოგადოებრივი ხელოვნების მიმდინარეობა. ამიტომ იყო, რომ მისი ლექსებით ფართო მასები ინტერესდებოდნენ.

ამასთანავე ჩვენ ვიცით, რომ აქიფის ლექსების მრავალრიცხოვანი არმი-

ის შემადგენლობაში მეჩეთის მრევლიც შედიოდა. ამის გამო მას „მეჩეთის პოეტი“ უწოდეს. ამის თაობაზე მეჰმეთ დოდანმა იგივე სახელწოდების წიგნიც კი დაწერა, რათა აქიფის ამ თვისებაზე უფრო მეტი ყურადღება ყოფილიყო გამახვილებული. შეფასება ზუსტი იყო, რადგან აქიფი მართლაც მეჩეთის პოეტი იყო.

მეჰმეთ აქიფის მეჩეთთან ამგვარი დაკავშირება ბუნებრივია გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ აქიფი მეჩეთთან დაკავშირებულ ღირებულებებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ღრმადმორწმუნე პოეტი იყო. მას ხალხის რწმენის საკითხებთან შეუსაბამობა არ ჰქონდა. ის ძალიან მორწმუნე ოჯახიდან მოდიოდა და თავადაც ასეთი იყო. მან ბავშვობა და ახალგაზრდობა ფათიჰის რაიონში გაატარა, სადაც რელიგიურ ცხოვრებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ბავშვობის წლებში მამისგან და ფათიჰის მეჩეთში დასაქმებული იმამებისგან, რომლებიც მამამისის მეგობრები იყვნენ, რელიგიურ ცოდნას იმდიდრებდა. ის არამარტო ცოდნას იძენდა, არამედ შეძენილ ცოდნას აანალიზებდა და ამ ცოდნის შესაბამისად ცხოვრობდა. აქიფი მთელი ცხოვრების მანძილზე მეჩეთთან და მრევლთან ახლო ურთიერთობაში იყო.

მეორე მეზეზი იმისა, თუ რატომ უწოდეს „მეჩეთის პოეტი“ არის ის, რომ აქიფის თითქმის ყოველ ლექსში ან აიათის, ან ჰადისი განმარტება იყო ჩადებული. ამასთანავე ბევრი მისი ლექსი რელიგიური სწავლების შინაარსს ატარებდა. მარტო წიგნების სათაურებს რომ შევხედოთ ამ მხრივ საკმარისი აზრი ჩამოგვიყალიბდება. მაგალითად, პირველი წიგნის პირველივე ლექსის სათაური „ფათიჰის მეჩეთი“-ა. მეორე წიგნის მთელი შინაარსი სულეიმანიეს მეჩეთში წაკითხულ რელიგიურ სწავლებას შეეხება. მესამე წიგნის სათაურია „ჭეშმარიტების ხმა“, სადაც აიათების განმარტებებია მოცემული და სხვა.

აქიფის მეჩეთთან კავშირი მხოლოდ ამ წიგნებითა და ლექსებით არ მთავრდება. ის მეჩეთის „ქურს“-ზე ადიოდა და ჯამაათს მოძღვრავდა. ბალკანეთის ომის ტრაგიკულ დღეებში სტამბოლის სამ დიდ მეჩეთში დადიოდა და უმნიშვნელოვანესი გამოსვლები ჰქონდა. ეს ტენდენცია მოგვიანებით ანატოლიის კუთხეებშიც გაგრძელდა. მისი პირველი გამოსვლა ბალიქესირში ზადანოზ ფაშას მეჩეთში შედგა. 15 მაისს ბერძნებმა იზმირი დაიკავეს. ამის შემდეგ ანატოლიის ყველა კუთხეში ეროვნული თვითგამორკვევის მოძრაობა დაიწყო და ერთ-ერთი ასეთი

ადგილი სწორედ ბალიქესირი იყო. აქიფი თავის ახლო მეგობართან, ეშრეფ ედიფთან ერთად ბალიქესირში ჩავიდა და მეჩეთში შეკრებილ ხალხს მიმართა. აღნიშნული მიმართვა შემდეგი მოვნელების განვითარების თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი გამოდგა.

შემდეგ აქიფი ანკარასა და კასტამონშ ჩავიდა და იქაც იგივენაირად მიმართა მრევლს. მათ შორის განსაკუთრებული იყო კასტამონის შემთხვევა. კასტამონში, ნასრულლაჰის მეჩეთში გამართული ქადაგება იმდენად ეფექტური იყო, რომ ის დაბეჭდეს და ბრძოლის წინა ხაზზე, ყველა დანაყოფს დაურიგეს.

პოეტის მიერ მეჩეთში ქადაგება რა თქმა უნდა მნიშვნელოვანი იყო, მაგრამ ამ მოვლენაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ წარმოთქმული სიტყვის სიძლიერეს და ლექსებს, რომლებიც რელიგიური სწავლების ხასიათს ატარებდა. ეს იყო განსხვავებული სტილი, რომელიც არ ჰგავდა მანამდე არსებულ კლასიკურ სტილს, რითიც მეჩეთებში რელიგიურ კანონებს, ღვთისმსახურებას და ზნეობას ასწავლიდნენ. აქიფი ემოციის და მოქმედების ადამიანი იყო. აიათებს და ჰადისებს კონკრეტული დროის პირობების გათვალისწინებით განმარტავდა. იმ წელს

სამშობლოს ნაწილი ოკუპირებული იყო და მთელი ქვეყანა ოკუპაციის საფრთხის წინაშე იდგა. აქიფი არჩევდა აიათებს, რომლებიც ჯიჰადის შესახებ იყო. ასევე ხშირად განმარტავდა ისეთ აიათებსა და ჰადისებს, რომლებიც მრევლის მიმდინარე პრობლემებს შეეხებოდა.

აქიფის გამოსვლებში შინაარსთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანი მისი საუბრის სტილი იყო. აქიფის საუბრის სტილი ორატორული ხელოვნების ნიმუში იყო. ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება, რაც აქიფის საუბარს გამოარჩევდა, ეს იყო სისადავე. საუბრისას მაქსიმალურად ცდილობდა მხოლოდ თურქული სიტყვებით ესაუბრა და ამასთანავა იყენებდა ფრთიან გამონათქვამებს, აფორიზმებს და სხვა. ამდენად მისი საუბარი ყოველთვის ეფექტური იყო და მსმენელზე შთაბეჭდილებას ახდენდა.

მეჰმეთ აქიფი არ იყო იმ კატეგორიის ხელოვანი, რომელიც გარე ფაქტორების გავლენების გამო სტანდარტული მიმართვის სტილს აირჩევდა. ის ხალხის ენაზე საუბრობდა. ამის მიუხედავად ის მაინც გამორჩეულ ხელოვნად იქცა. ის ამ სტილით იყო გამორჩეული. ამ სტილის დადებითი თვისება მარავალი იყო, მაგრამ ერთ-ერთი უმთავრესი იყო ის, რომ

მსმენელთან უმოკლესი გზებით ხდებოდა დაკავშირება.

აქიფის ორატორული ხელოვნება და ზოგადად ამ სფეროს ცოდნა მხოლოდ მის ნაწერებსა და გამოსვლებში არ ჩანს. მას ამ მიმართლებით მნიშვნელოვანი თეორიული ნაშრომები აქვს გაკეთებული. წარმოგიდგენთ რამოდენიმე ფრაზას, რომელიც აღნიშნულ საკითხს შეეხება:

„ჩვენთვის შესაფერისი მარტივი ენაა. როდესაც ამისგან გადავუხვიეთ, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით“.

„ჩვენი ენის აქცენტი, თუნდაც ნაპოლეონის ჩექმები ან ინგლისური წინდები ეცვას, უცხო ფეხის ქვეშ არ უნდა მოვაყოლოთ. ამ მხრივ რაოდენი მცდელობაც იქნება საჭირო, შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ვიზრუნოთ. ძველად არაბული და სპარსული გავლენებისგან, ახლა კი ფრანგული და გერმანული ზემოქმედებისგან ენა უნდა დავიცვათ. როგორც ხალხი ვერ იარსებებს ენის გარეშე, ენაც ვერ იარსებებს აქცენტის და მისთვის დამახასიათებელი თვისებების გარეშე. როგორც ქვეყანა ვითარდება თავისი საზღვრების ფარგლებში, ისე ენაც თავისი ბუნებრივი მახასიათებლების მიხედვით უნდა განვითარდეს.“

მისი ეს მოსაზრებები საკმაო წარმოდგენებს გვიქმნის იმაზე, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა აქიფს თრქულ ენაზე და რა სტილით საუბრობდა, როცა ის ხალხს მიმართავდა. მართალია ის არაბული და სპარსული ენებიდან შემოსული სიტყვების წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ ეს იქამდე არ მიდიოდა, რომ რელიგიური ტერმინები დაეწუნებინა და ისლამამდელი თურქული სიტყვებით ჩაენაცვლებინა. ამ კატეგორიის სიტყვები უკვე თურქულ ენაში საფუძვლიანად ფეხმოკიდებული და ხალხმაც კარგად იცოდა.

მეჰმედ აქიფი იმ ეპოქაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, როცა მშობლიური ენის შესახებ ბევრი მსჯელობა და კამათი მიმდინარეობდა. ასეთ ეპოქაში მისი სტილი განსხვავებული და მყარი იყო. თავდაპირველად ლექსებში მრავლად იყენებდა არაბული და სპარსული წარმოშობის სიტყვებს, მოგვიანებით კი მათ მაგივრად თურქულ სიტყვებს აქვთ მინიჭებული უპირატესობა. ეს იყო ხელოვნებაში რეალიზმის გეგაბის დამკვიდრება და ამასთანავე სათქმელის სახალხო პრობლემებზე ფოკუსირება.

ის მეჩეთის პოეტი იყო, ამიტომ მისი საუბრისა და წერის მანერა რელიგიური მიმართულებით იყო გაჟღენთილი.

სულეიმანიეს მეჩეთის ქუთხიდან

ერთუღრულ ბუზდაღი

გამოსვლა, რომელმაც მეჰმეთ აქიფი აატირა

- 14 თებერვალი. 1913 წელი. პარასკევი.-

ღმერთი ბრძანებს:

„ხოლო რომელთაც იღვაწეს ჩვენთვის, უთუოდ, წარმატებულს ვჰქმნით ჩვენს გზაზე. უეჭველად, ალლაჰი კეთილისმქმნელებთან ერთადაა!

მის გზაზე მოღვაწეს ღმერთი შეეწევა

ღმერთი უეჭველად დაეხმარება მათ, ვინც მის გზაზე იღვაწეს. ღმერთი აუცილებლად დააფასებს მის გზაზე მებრძოლ-

თა თავგანწირვასა და ჯაფას. უეჭველია, რომ მუჯაჰიდების მფარველი ალლაჰია და ასეთ მსახურებს შეეწევა.

მორწმუნენო, უნდა იცოდეთ, რომ ღმერთი კეთილთა შემწეა. ის უსაზღვროდ მწყალობელია.

ღმერთი პირობას არ ცვლის

აიათში ღმერთი ბრძანებს, რომ ის წარმატებულს გახდის მათ, ვინც მათ გზაზე იდწვის. ღმერთი არასოდეს შეცვლის თავის სიტყვას, ამიტომ ეჭვის შეტანა დაუშვებელია. (იხ. რუმ 6; ჰაჯ 47)

ყურანის მრავალ აიათშია დასტური იმისა, რომ ღმერთი აუცილებლად შეასრულებს იმას, რასაც ბრძანებს. ღმერთი აუცილებლად აასრულებს იმ პირობას, რითიც მსახურებს ჯილდოს ჰპირდება, მაგრამ სასჯელის შემთხვევაში ასე არ არის. ღმერთმა თუ ინება მსახურს მიუტევებს და არ დასჯის.

რატომ არ გვეხმარება?

კარგი. რახან აიათში ნაბრძანებია, რომ ღმერთი მის გზაზე მოდვაწეებს შეეწევა

და არასოდეს გააწბილებს, მაშ რატომ ხდება, რომ მუსლიმთა მდგომარეობა სავალალოა?

350 მილიონი, 400 მილიონი... რამდენი მუსლიმია დედამიწაზე. ყველგან არიან მუსლიმები და ყველგან სავალალო მდგომარეობაში იმყოფებიან. რატომ აღარ გვეხმარება ღმერთი?

რა მოხდა? სადაცაა მუსლიმები ამ იმედს დაკარგავენ. მათმა ერთმა ნაწილმა დაკარგა უკვე...

რას ბრძანებს ღმერთი?

„ხოლო რომელთაც იღვაწეს ჩვენთვის, უთუოდ, წარმატებულს ვჰქმნით ჩვენს გზაზე. უეჭველად, ალლაჰი კეთილისმქმნელებთან ერთადაა!“

მუსლიმების დასახმარებლად წახვედი?

მოდით ვკითხოთ მთელი მსოფლიოს მუსლიმებს და ვთხოვოთ გულწრფელად გვიპასუხონ:

რომელი თქვენგანი იღწვოდა ღვთის გზაზე? მუსლიმობა მხოლოდ შაჰადას

წარმოთქმა, ხუთი დროის ნამაზის ლოცვა და ღვთისმსახურება არ არის.

მე ამ სიტყვას ჩემი გონებით კი არ ვამბობ, ნახეთ, ღვთის შუამავალი რას ბრძანებს:

ის ადამიანი, რომელიც მუსლიმების დარდს არ იზიარებს, მუსლიმების უბედურების თანამონაწილე არ ხდება და მათ საშველად არ გარბის, ვერასოდეს გახდება მუსლიმი. (იხ. ჯემიუსსაღირ, 2. გვ. 494)

მუსლიმობა მხოლოდ სიტყვით არ გამოიხატება. რომელიმე მუსლიმი სხვა ქვეყანაში მცხოვრები მუსლიმის დასახმარებლად წავიდა? ვინმე მუსლიმმა შორს მყოფი, უბედურებაში ჩავარდნილი მუსლიმის უბედურება გაიზიარა? სამწუხაროდ, არა!

გამომდინარე აქედან ისლამურ სამყაროს ერთიმეორის მიყოლებით უბედურებები თავს ახვევია. ერთისგან თავს დაიხსნის თუ არა, მეორე უბედურება ევლინება.

ერთიმეორის შესახებ ფრანგებისგან ვგებულობთ

ადრეც მითქვამს ამის შესახებ. ჩვენ მუსლიმები ჩვენს შესახებ, ჩვენივე კულ-

ტურის, ზნეობისა და წესების შესახებ ფრანგული ლიტერატურიდან ვსწავლობთ. ჩვენი ერთიმეორის შესახებ ინფორმაციის მიღება ამგვარი საშუალებითაა შესაძლებელი. ესეიგი ფრანგებს რომ ასეთი დამსახურება არ ჰქონდეთ, ჩვენ ერთიმეორის შესახებ ვერაფერს გაიგებდით. ერთ კონკრეტულ რეგიონში ან კონტინენტზე მცხოვრები მუსლიმები სხვაგან მცხოვრები მუსლიმების შესახებ ვერაფერს გაიგებდნენ.

შეხედეთ ჩვენს სავალალო მდგომარეობას, ჩვენს უმწეობას.

ამ ყველაფრის მიუხედავად არც კი გვრცხვენია და ღმერთისგან შეწევნას ვითხოვთ. ნეტა, ვართ ამის ღირსი?

ისე გამოდის თითქოს ვაყვედრით ღმერთს ჩვენს მუსლიმობას და ასე გარჯისა და თავგანწირვის გარეშე გვინდა ყოველთვის გამარჯვებული ვიყოთ.

განა ღმერთი ჩვენს წინაშე ვალშია?

ღმერთი ბრძანებს:

„ისინი გაყვედრიან შენ, რომ მიიღეს ისლამი. უთხარი: „ნუ მაყვედრით, რომ გამუს-

ლიმდით. არამედ, ალლაჰი იღებს თქვენზე მადლს, რომ დაგადგინოს თქვენ რწმენას, თუკი ხართ მართალნი.“ (ჰუჯურათ 17)

დიახ, ზოგი ადამიანი მიდიოდა შუამავალთან და მუსლიმი გავხდიო აყვედრიდა. ღმერთი თავად ბრძანებს პასუხს: „უთხარი: „ნუ მაყვედრით, რომ გამუსლიმდით. არამედ, ალლაჰი იღებს თქვენზე მადლს, რომ დაგადგინოს თქვენ რწმენას, თუკი ხართ მართალნი.“

არადა თქვენ მუდმივად მადლიერნი უნდა იყოთ, რომ მუსლიმები ხართ.

წყალობა ღმერთმა მოგივლინათ და იქეთ დაყვედრებას ცდილობთ.

განა ვის რა გაუკეთებია საიმისოდ, რომ ღმერთისგან ჯილდოს ითხოვს? რომელმა ჩვენგანმა გავაკეთეთ რამე?

როცა ჩვენ გვეძინა ისინი შრომობდნენ

ჩვენს წინააღმდეგ ვინც გამოდის ისინი პასუხიმგებლობას და გარჯას არ გაურ-ბოდნენ. მათ დღე და ღამე იშრომეს. ქან-ცის გაწყვეტამდე მუშაობდნენ ისინი.

ჩვენ რა გავაკეთეთ? რას ვაკეთებდით მთელი ეს ხანი?

დედამიწა არ ჩერდება. მატერიალური სამყარო სწრაფად ვითარდება. ყველა ერი ცდილობს მაქსიმუმი აიღოს. ჩვენ რომ გვეძინა, ისინი ფხიზლობდნენ. ჩვენ რომ ვიჯექით ისინი შრომობდნენ.

უბედურება მოსალოდნელი იყო

ეს უბედურება, რომელიც თავს დაგვატყდა, მოსალოდნელი არ იყო? რა თქმა უნდა იყო. ვფიცავ, ჩვენ ყველამ ვიცოდით ეს.

რამდენი ვიყვირეთ, ვიძახეთ სარწმუნოებას ვკარგავთ, სამშობლო ხელიდან გვეცლებაო, მაგრამ არავინ შეისმინა. რომელიმე ჩვენგანმა თქვა, რომ ხელი ჩავკიდოთ, ვუპატრონოთ და ნუ დავკარგავთო? ვფიცავ, არავის უთქვამს.

ამ უბედურებაში ყველას მიგვიძღვის ბრალი. დიახ, ყველანი დამნაშავე ვართ. ჩვენს შორის ერთ პიროვნებასაც ვერ იპოვით, ვისაც ამაში თავისი წილი ბრალი არ მიუძღვის. სხვაზე გადაბრალებით მართლები ვერ გავხდებით. ღმერთი ბრძანებს:

„ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! მხოლოდ თქვენ თავზე აგებთ პასუხს. ზიანს ვერ მოგაყენებს, ვინც ამცდარია ჭეშმარიტებას, თუკი თქვენ ადგახართ სწორ გზას. თქვენ, ყველანი ალლაჰთან მიიქცევით. მაშინ გაცნობებს თქვენ იგი, რასაც სჩადიოდით“. (მაიდე 105)

ჩვენ რელიგიის პირობა ვერ შევასრულეთ

ყველამ საკუთარი შეცდომები უნდა გაიაზროს, საკუთარ ცდუნებებს გაუმკლავდეს, რადგან ყველანი საკუთარ შეცდომებზე ვართ პასუხისმგებელნი.

სიმართლე რომ ვთქვათ, არცერთ თვენგანს თავისი მოვალეობა ჯეროვნად არ შეუსრულებია. ყველას რომ ემუშავა, ყველას რომ თავისი ფუნქცია შეესრულებინა, ჩვენი სამშობლო და ისლამი ასეთ დღეში არ ჩავარდებოდა. ჩვენ სარწმუნოების პირობა არ შევასრულეთ.

ვისაც ჭკუა არ გააჩნია, არც სარწმუნოება ექნება

გონება და სარწმუნოება სხვა და სხვა რამ არ გახლავთ. რელიგიური დებულებებისადმი ვალდებულება გონებასრულობას მოითხოვს. ღვთის შუამავლი ბრძანებდა:

„ადამიანის სარწმუნოებას გონება წარმოადგენს. ვისაც ჭკუა არ გააჩნია, არც სარწმუნოება ექნება“.

შუამავალი ასევე გვაფრთხილებდა, რომ ადამიანის მუსლიმობა ისე არ უნდა შეგვეფასებინა, სანამ მის გონიერებაზე აზრს არ შევიქმნიდით.

იმამ გაზალის რწმენა

ჩვენ ეს სარწმუნოება მამებისგან დავინახეთ, შევისწავლეთ და მზამზარეულად გვერგო. არადა არსებობენ ადამიანები, რომელთა გონებაში დღეში ათასობით წარღვნა ხდებოდა, ეჭვები მთელ არსებას იპყრობდნენ, წვალობდნენ, ფიქრობდნენ, ერთ ეჭვს მოერეოდნენ და მეორე ჩნდებოდა. თუ იმასაც მოერეოდნენ, მესამე ჩნდებოდა და ასე შემდეგ.

ზოგმა ცხოვრება ბრძოლაში გაატარა. მან ყველა ეჭვი გადალახა და ასე ვთქვათ, ოფლისღვრით გახდა მუსლიმი. ბუნებრივია ღვთის წინაშე, შუამავლის წინაში მისი ადგილი ჩვენთან შედარებით განსხვავებული იქნება.

განა შეიძლება ჩემი და გაზალის რწმენა ერთმანეთს შევადაროთ? რა თქმა უნდა

არა. მე მზა სარწმუნოებაზე დავიბადე, მან კი მთელი ცხოვრება იბრძოლა.

სასარგებლო საქმე შარიათთან წინააღმდეგობაში არ მოვა

ჩვენი შარიათი გონივრულია. ჩვენი სარწმუნოება ჭკუის სარწმუნოებაა. ჩვენ გონებას არ ვიყენებთ და ამის მერე წყალობას ველოდებით.

განა შარიათში რა არის იმისთანა, რაც სასარგებლო არ არის? დიახ, ყველაფერი სასარგებლოა და რაც სასარგებლოა შარიათთან წინააღმდეგობაში არ მოდის. და კიდევ, შარიათი მხოლოდ საიქიოსთვისაა?

სარწმუნოება და სამყარო

შარიათი მარტო საიქიოსთვის რომ ყოფილიყო ღმერთი მორწმუნეებს ამქვეყნად არ მოავლენდა და პირდაპირ სამოთხეში გაამწესებდა.

ერთ-ერთი ყველაზე დიდი უბედურებაც აქედან იწყება.

ჩვენ სარწმუნოება და საიქიო ერთმა-

ნეთისგან განვაცალკევეთ, არადა ესენი ცალკე არ მოიაზრებიან.

ყურანი ხელში გვაქვს. შუამავლის სიტყვები და რჩევა-დარიგებები ჩვენს წინაა. თქვენ სადმე დაინახეთ, რომ ისინი სააქაოს და საიქიოს ერთმანეთისგან ყოფენ?!

საიქიოსთვის ზრუნვისას სააქაოც არ უნდა დავივიწყოთ. უნდა გვახსოვდეს მოწოდება, რომ საიქიოსთვის ისე უნდა ვიზრუნოთ, თითქოს ხვალ ვკვდებით და ამავდროულად სააქაოსთვის ისე უნდა ვიზრუნოთ, თითქოს უკვდავები ვიყოთ.

ბაყარას სურას 201-ე აიათში არის ვედრება:

„ღმერთო ჩვენო! მოგვეცი ჩვენ სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც“

რელიგია ამქვეყნიური ცხოვრებისგან ცალკე არ მოიაზრება. ამქვეყნიური ცხოვრების გარეშე სარწმუნოება არ იქნებოდა. თუ ერის ამქვეყნიური ცხოვრება დასრულდა, მათთვის სარწმუნოებაც სრულდება.

შეხედეთ რუმელის მდგომარეობას. მტერმა სძლია და მეჩეთები ეკლესიებად

და ბოსლებად გადააკეთეს. ვერც მეჩეთს ნახავ, რომ ილოცო და ვერც მინარეთს ნახავ, რომ ეზანი წაიკითხო.

აქვე არ უნდა დავივიწყოთ, რომ იმასთან შედარებით რაც მოხდა ჯერ კიდევ არაფერია, ვიდრე მომავალში გველოდება. თუ ჩვენ თვალს მოვხუჭავთ მსოფლიოში ისლამი აღარ დარჩება.

(ეს სიტყვები ისეთი ხმით, ისეთი გრძნობითა და ინტონაციით წარმოთქვა, რომ სულეიმანიეს მეჩეთში მყოფებს გული ამოვარდნაზე ჰქონდათ. სრული სიჩმე სუფევდა. დაახლოებით ერთ წუთის განმავლობაში ხმა არ ამოუღია. მე შევხედე და დავინახე, რომ წინ დადებულ ფიცარზე ცრემლები ეწვეთებოდა. შემდეგ კი განაგრძო)

ვფიცავ დაანგრევენ, გაანადგურებენ!

ისლამის უკანასკნელი იმედი აქაა. ჩვენი სარწმუნოების უკანასკნელი სამშობლო აქაა. ღმერთო ნუ დაუშვებ, რომ აქაც დავმარცხდეთ. მუსლიმების მდგომარეობა რა იქნება მერე? აღარც ნამაზი დარჩება, აღარც მეჩეთი, აღარც ნამუსი, აღარც ოჯახი, აღარც ჰაჯი და აღარც ღვთის სახლი...

ვფიცავ, ყველაფერს დაანგრევენ და გაანადგურებენ!

ეს ჭეშმარიტებაა. ამაზე უნდა ვიფიქროთ, გავაანალიზოთ და რაც გასაკეთებელია ახლავე გავაკეთოთ.

მხოლოდ ასე რომ ვიძახოთ: „სამშობლო საფრთხეშია“, „სარწმუნოება საფრთხეშია“, რა თქმა უნდა არ კმარა. გამოსავალი უნდა ვეძებოთ და ქმედებაზე გადავიდეთ.

საშიშ ადგილას დაწოლა დაუშვებელია

მაგრამ ჩვენ ხომ გრძნობა აღარ შეგვრჩენია. ცეცხლი მოედო ჩვენს საკვამლურს, ჩვენ კი ისევ უშფოთველად გვძინავს.

შეიხ სადისგან

რა საოცარი ამბავი აქვს სადის:

„ერთი ღამე ქარავანთან ერთად უდაბნოში მივემგზავრებოდით. ძალიან დაღლილი ვიყავი, ამიტომ ერთ კუთხეში მივწექი

და დავიძინე. აქლემის პატრონი მოვიდა, გამაღვიძა და მითხრა, აქ რას აკეთებ, ქარავანმა გაიარაო. მეც შენსავით დაღლილი ვარ, მეც შენსავით მეძინება, რამდენი ღამეა არ მიძინია, მაგრამ აქ ვერ დავიძინებ, რადგან ირგვლივ უთავალავი საფრთხეა დამალული. ადექი, თვალი გააახილე, ქარავანი აღარსადაა.

მე უცებ წამოვხტი, ქარავანს გავეკიდე და ძლივს დავეწიე. ასეა. გზაზე ვინც ჩაიძინებს, გამოღვიძებისას ნახავს, რომ ქარავანი წასულა“.

უდაბნო: ძველი შეცდომები

ამ ამბავს თანამედროვე სიტუაციას თუ შევადარებთ მდგომარეობა ნათელი გახდება.

რადგან ამქვეყნად მოვედით, იძულებული ვართ ეს უდაბნო გადავიაროთ. ყველა დაბრკოლება უნდა გადავლახოთ. თუ ვერ გადავლახეთ და დაღლილებმა ჩავიძინეთ, უკანა ხალხი წამოგვევწევა და დაძინებულს გადაგვთელავს.

ცხოვრების კანონი ასეთია. ვინც გაჩერდება ის ნამდვილი ცხოვრებით ვეღარ

იცხოვრებს. გაჩერება არ შეიძლება. თუ შეჩერდები გაისრისები.

სწავლა, აღზრდა, განათლება... სხვა გამოსავალი არ არსებობს!

გამოსავალი განათლებაშია. სამწუხაროდ ჩვენი ხალხი არ კითხულობს და არც წერს. ვინც კითხულობს და წერს, ისინი ისეთ უსარგებლო მიმართულებებით ინტერესდებიან, რომ არც ამქვეყანას არგიან და არც საიქიოს. ყველამ ერთად, შეხმატკბილებული რომ ვიბრძოლოთ აუცილებლად გადავრჩებით.

დიახ, გადარჩენა განათლებაშია, ამქვეყნიურიც და იმქვეყნიურიც.

რატომ ჭირდება რელიგიას ახალი ცოდნა?

გადარჩენა რომ განათლებაშია ამაზე შევთანხმდით. ახლა საკითხავია ეს განათლება როგორი უნდა იყოს. ასევე როგორი უნდა იყოს განათლება, რომ სარწმუნოება ფეხზე დადგეს?

ისლამამდეც იყო რელიგიები და ის რელიგია იმ პერიოდის კაცობრიობისათ-

ვის საკმარისი იყო. შემდეგ ღვთიური გზავნილი შეიცვალა, ახალი სარწმუნოება მოვიდა და ის საკმარისი აღარ აღმოჩნდა.

იმ რელიგიამ თავისი ადგილი უფრო სრულყოფილ რელიგიას დაუთმო. ეს ასე მეორდებოდა სულ. ისლამი კი უკანასკნელი სარწმუნოებაა. ისლამის შემდეგ ახალი რელიგია აღარ იქნება.

როგორ არის ისლამი „უკანასკნელი სარწმუნოება“?

კარგი. ისლამი კაცობრიობის დასასრულამდე მთელი კაცობრიობის სარწმუნოება როგორ უნდა იყოს?

დიახ. ისლამი კაცობრიობის დასასრულამდე იქნება ყველას სარწმუნოება და ის ადამიანების ყველა მოთხოვნილებას, ყველა ეპოქაში დააკმაყოფილებს. ისლამის წიგნში, ყურანში, ყველა ეპოქაში მცხოვრები ადამიანებისთვის საჭირო ინფორმაციაა მოცემული და ადამიანები ამას ცოდნითა და განვითარების კვალდაკვალ აღმოაჩენენ.

ყურანისა და ჰადისი უკეთ გასაგებად ცოდნაა საჭირო. ჩვენ მიწისგან მხოლოდ

მოსავალს ვიღებთ. ცოტა კიდევ თუ მოვიწადინებთ წყალსაც აღმოვაჩენთ, მაგრამ სხვები მიწიდან სასარგებლო წიაღისეულს იღებენ. ჩვენ წყლისგან მხოლოდ წისქვილს ვაკეთებთ, მაგრამ სხვები ელექტროსადგურებს აშენებენ. ჩვენ ღრუბლებისგან წვიმას ველოდებით, სხვები კიდე მეხზე ნადირობას ცდილობენ.

როცა მატერიალური თვალსაზრისით ასეთი მდგომარეობაა, სულიერებაც ასეა.

როგორ მოხდა, რომ სხვებმა იმდენად შეძლეს განვითარება, რომ შედარებაც კი არ შეიძლება. ან ის წარსულის მიღწევები სად გაქრა, რამ დაგვავიწყა?

სწავლულმა წინაპრებმა გითხრეს „არ იმუშაოთო?“

თავის დროზე ისლამის სწავლულებმა დიდი შრომა გასწიეს და მნიშვნელოვანი ნაშრომები შექმნეს.

თუმცა მათ არ უთქვამთ, რომ თქვენ აღარ იმუშაოთ და მხოლოდ ჩვენს მიერ დაწერილი იკითხეთო.

პირიქით. მათ თქვეს, რომ უნდა ვიმუშავოთ. თან მათ მიერ დაწერილი წიგნები

წავიკითხოთ და თანაც ახალი ნაშრომები შევქმნათ და ისლამის ცოდნის გავრცელების მიმართულებით ახალი მიღწევები წარმოვაჩინოთ.

უმეცარი ხალხი უმეცრების გამო გასწევს წინააღმდეგობას.

როცა ხალხმა კარგი და ცუდი არ იცის, ის უმეცარია. ახლაც ხალხი აჯანყდა. რა იყო ამის მიზეზი? რა თქმა უნდა უმეცრება.

სხვათა პროპაგანდა ასეთ ადამიანებზე იყო გათვლილი. ხალხმა არ იცოდა კარგისა და ცუდის გარჩევა, ამიტომ ისინიც ადგენენ და ამბოხება მოაწყვეს, რადგან უმეცარი ადამიანი ყველა ხაფანგში გაებმება.

ნახეთ ალბანელები რა დღეში აღმოჩნდნენ და ჩვენც რა დღეში ჩაგვყარეს. ეს ბუნებრივი იყო. ამით ჩვენ მაგალით უნდა ავიღოთ, მდგომარეობა გავითვალისწინოთ, ბევრი ვიშრომოთ და შედეგს მივაღწიოთ.

ჩვენ წარსულის შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ. ერთ და იგივე შეცდომა არ უნდა დავუშვათ. მომავლის უნდა გვჯეროდეს. იმედის გადაწურვა ცოდვაა. იუმედობა სიკვდილია.

ღმერთო, შენ უშველე ისლამსა და მუსლიმებს. ურწმუნოები გაფანტე და დააუძლურე. ღმერთო, ამქვეყნადაც და საიქიოშიც სიკეთე გვიწყალობე!

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia
muslim international charity

მეჩეთი აქიფის საძაგლითი პიროვნებები

სელმა გუნაიდინი

აქიფის ხასიათის და ხელოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა გარემომ, სადაც აღიზარდა, წაკითხულმა წიგნებმა და იმ პიროვნებებმა, რომლებსაც ის იცნობდა და რომლებიც მას უყვარდა.

ოთხი წლის აქიფი სასწავლებლად ემირ ბუჰარის სახელობის სკოლაში შევიდა, ორი წლის შემდეგ კი ფათიჰის სკოლაში გადავიდა. სამი წელი ისწავლა ამ სკოლაში და შემდეგ ასევე ფათიჰის უბნის სხვა სკოლაში გადავიდა. ამ სკოლაში მის პიროვნებაზე ყველაზე დიდი გავლენა ერთ-ერთმა მასწავლებელმა, ქადრი ეფენდიმ იქონია. ქადრი ეფენდი თავისუფლებისმოყვარე პიროვნება იყო. სწორედ ამ მასწავლებელმა იქონია გავლენა, რომ აქიფს უცხო ენა შეესწავლა.

სკოლაში სწავლის პარალელურად მამა არაბულ ენასა და რელიგიურ მოძღვრებას

ასწავლიდა. მისი ცოდნის დონე შესაბამის ასაკთან შედარებით მაღლა იყო. სკოლაში სპარსულ ენასაც სწავლობდა და ჯამში თურქული, არაბული, ფრანგული და სპარსული შეისწავლა.

აქიფს განსაკუთრებით უცხო ენები და ლექსები უყვარდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ლიცეუმიც დაასრულა. იმ პერიოდშ გარდაეცვალა მამა, რომლის შესახებაც ამბობდა, რომ ის მამაც იყო და მასწავლებელიც და რაც იცოდა, მამისგან ისწავლა. ამის გამო აქიფმა გადაწყვიტა „ბაითარ"-ის სკოლაში შესულიყო, რადგან დასაქმების მეტი შანსი ექნებოდა. იქ სწავლისას ლექსებს უფრო მეტ დროს უთმობდა.

მითჰათ ჯემალ ქუნთაი ამბობდა, რომ ყველა ბავშვს აუცილებლად ჰყავდა ვინმე დიდი ადამიანი. აქიფისთვის ასეთი ადამიანი მისი მასწავლებელი ნაჯი იყო.

აქიფი კლასიკურ ნაწარმოებს ორიგინალში კითხულობდა. ის ახლოს გაეცნო ომარ ხაიამის, მევლანას, სადის, ფერიდუდდინი ათთარის, სენაის და სხვა შემოქმედთა ნაწარმოებებს. რაც უყვარდა გაცნობიერებულად უყვარდა და რაც არ მოსწონდა, ესეც გაცნობიერებული ჰქონდა.

საზოგადოებას თუ პიროვნებად განვიხილავთ მეჰმეთ აქიფის პიროვნების ჩამოყალიბებაში იმ საზოგადოებამაც დიდი როლი ითამაშა, სადაც ის იზრდებოდა. დედის მხრიდან მისი წინაპრები ბუჰარადან იყვნენ, რამაც მისი აღმოსავლური ისლამისადმი სიახლოვე განაპირობა. მამამისი ალბანეთიდან იყო, ამიტომ მასში დასავლური ყაიდის ისლამიც მოჭარბებულად იყო, ამიტომ საბოლოო ჯამში საშუალო, ზომიერი სახის ისლამური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბდა.

აქიფის ბავშვობის წლებში ფათიჰის რაიონი სტამბოლში ისლამური განათლების ცენტრის სტატუსს ატარებდა. საგანმანათლებლო დაწესებულებები ახლოს მყოფ მეჩეთებთან იყო დაკავშირებული. ამ გარემოში აღზრდამ აქიფი ღრმადმორწმუნე, განათლებულ და საზოგადოების აქტიურ წევრად ჩამოაყალიბა.

მეჰმეთ აქიფის პიროვნებაზე ასევე გავლენა იქონიეს ისეთმა პიროვნებებმა, როგორებიც იყვნენ ჯემალედდინ ეფგანი, მუჰამმედ აბდუჰი, რეშიდ რიზა და სხვები.

სეზაი ქარაქოჩის აზრით აქიფის პიროვნებაზე ამ და სხვა მოაზროვნეთა გავლენა გადაჭარბებულადაა წარმოდგენილი. მართლაც და აქიფის პიროვნების

ფორმირებაში მისი ბავშობა, გარემო, მისი განათლება და ეპოქის გამოწვევებია მნიშვნელოვანი ფაქტორები. ისლამთან მისი დამოკიდებულება ამ მოაზროვნეთა დამსახურება არ ყოფილა. მათ აქიფის ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებას გზა გაუხსნეს და განვითარებაში დაეხმარნენ.

გარდა ამისა აქიფს ჰყავდა მეგობრები, რომლებიც კონკრეტული დროის მნიშვნელოვან პიროვნებებს წარმოადგენდნენ პოეზიასა და ლიტერატურაში და აქიფი მათგან დიდ სულიერ მხარდაჭერას ღებულობდა.

muslimgeorgia
muslim georgia foundation
muslim international charity

მეჰმეთ აქიფის ქადაგების მონახაზი

ქამილ ბუიუქერი

აქიფმა თავისი ხალხის სათქმელი არა-მარტო ლექსითა და ზოგადად ლიტერა-ტურით, არამედ მეჩეთებშ ქადაგებებითა და პირდაპირ ხალხთან ურთიერთობით გამოხატა და ამ პროცესში ანატოლი-ის ზოგიერთი ქალაქი შემოიარა. აქიფმა ხალხზე მიმართვა მეჩეთებში, ქურსიდან დაიწყო, რომელიც პოეტებისთვის მაინც-დმაინც შეჩვეული ადგილი არ იყო. ბალ-კანეთის ომის შემდეგ მთელ ქვეყანაში დიდი დეპრესია გამეფდა. ხალხის სასო-წარკვეთლებიდან ამოსაყვანად მეჰმეთ აქიფი ისეთ დიდ მეჩეთებში, როგორიცაა სულეიმანიეს, ფათიჰისა და ბეიაზითის მეჩეთები, ქურსზე ადიოდა და ხალხს რცევა-დარიგებებით მიმართავდა.

ძველი მეგობრის მიერ ბალიქესირში მიპატიჟება და ქადაგება

მეჰმეთ აქიფი და ჰასან ბასრი ბეი 1908

წლიდან მეგობრები იყვნენ. სწორედ ჰასან ბასრის მიპატიჟებით აქიფი 1920 წლის 21-22 იანვარს ბალიქესირში ჩავიდა.აქიფს თან ახლდა მისი მეგობარი, ჟურნალ სებილურრეშადის რედაქტორი ეშრეფ ადიფი. ჰასან ბასრი ბეი მოგვითხრობს:

„ბერძნებმა იზმირი დაიკავეს. ამის თაობაზე ბალიქესირში ეროვნული მოძრაობა დაიწყო და სწორედ ამ დროს აქიფი ჩვენთან მოვიდა. იმ დროსათვის აქიფი სტამბოლში, სახელმწიფო სამსახურში იყო, მაგრამ როგორც კი შეიტყო, რომ ბალიქესირში აღნიშნული მოძრაობა დაიწყო, მაშინვე აქეთ გამოეშურა. ის ბალიქესირის უდიდესი მეჩეთის ქურსზე ავიდა და ისტორიული სიტყვა წარმოთქვა. ამ მიმართვის ეფექტი ძალიან დიდი იყო.

მწერალი მეჰმეთ ემინ ერიშირგილი წერს:

„ერთ დღეს ჯურნალის გამომცემლობაში მოვიდა. ძალიან ღელავდა. იქვე მყოფ ეშრეფ ედიფს მიუბრუნდა და მოდი წავიდეთო, უთხრა. სად მივდივართო, ჰკითხა ეშრეფმა. იქ, სადაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო, აქ ვეღარ ვჩერდები, უპასუხა აქიფმა.

როდესაც ბალიქესირშ გაიგეს მეჰმეთ აქიფი ჩამოსულაო, ხალხი მეჩეთში გაიქ-

ცა. ლიდერებმა აქიფს სთხოვეს ქურსზე ასულიყო და ხალხისთვის მიემართა. აქიფმა უარი ვერ უთხრა და 1920 წლის 23 იანვარს, პარასკევის ლოცვის შემდეგ ზაღანოს ფაშას მეჩეთში ხალხს მიმართა. თავისი მიმართვა ლექსით დაიწყო და მთელი გამოსვლა ერთიანობასა და ერთსულოვნებას დაუთმო. ხალხი მეჩეთში არ დაეტია და გარეთაც დიდი ხალხმრავლობა იყო. ყველანი დიდი ყურადღებით უსმენდნენ. მეჰმეთ აქიფის მიმართვამ ხალხზე დიდი გავლენა იქონია. აქიფმა ეროვნული მოძრაობის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი ადამიანებიც კი დაარწმუნა, რომ უნდა ებრძოლათ.

ამის გამო აქიფს ეროვნული მოძრაობის სულიერი ლიდერის წოდება მიენიჭა. მოგვიანებით აქიფი მეჯლისის წევრად აირჩიეს და ამ წლებშიც ხალხთან პირდაპირი ურთიერთობით ეროვნული სულის გაღვივებას ცდილობდა. ამ წლებში მოიარა ანატოლიის ბევრი ქალაქი და ხალხს ჩვეული ორატორობით მიმართავდა.

კასტამონისკენ გზაზე. ჩანკირი

1920 წლის 4 ნოემბერს აქიფმა მეცლისს განცხადებით მიმართა და კასტა-

მონში გასამგზავრებლად ნებართვა ითხოვა. ნებართვის აღების შემდეგ აქიფი ჰაჯი თევფიქ ბეისა და ჰალიმ ბეის თანხლებით კასტამოვისკენ გაემგზავრა. აქიფი გზად მდებარე სოფლებში ჩერდებოდა და ხალხს ეროვნულ მოძრაობაში ჩაბმისკენ მოუწოდებდა. ერთ-ერთი ასეთ ადგილი იყო ჩანკირიც, სადაც აქიფმა ადგილობრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დაიწყო.

1920 წლის 15 ნოემბერს აქიფმაჩანკირის ყველაზე დიდ მეჩეთში ხალხს მიმართა. ეს მეჩეთი კანუნი სულთან სულეიმანის ბრძანებით იყო აგებული. მიმართვისას აქიფმა შემდეგ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება:

„ძვირფასო ჩანკირელებო. დიდება ალლაჰს. თვეები გავიდა და ჯუმის ლოცვა აქ, თქვენს გვერდით შევძელი. სტამბოლში ეს თვეები ამას ვერ ვახერხებდი. იმ ტერიტორიებზე ურწმუნოთა დროშები ფრიალებს. იმ დროშის ქვეშ ურწმუნოთა მონები ვიყავით, ღმერთმა კი მუსლიმებს მონობა აუკრძალა.

მონის შესრულებული ჯუმის ნამაზი მიღებული არ არის. ჯერ თავისუფლება უნდა მოიპოვოს და შემდეგ ჯუმის ნამაზი ილოცოს. ურწმუნოთა დროშის ქვეშ

ყოფნისას ხალიფობაც კი ცარიელი სიტყვაა. ხალიფობა მხოლოდ ისლამის დროშის ქვეშაა შესაძლებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალიფაც ჩვეულებრივი მონაა.

ღმერთმა ღვთისმსახურება თავისუფალ ადამიანებს დაავალა, ამიტომ ჯერ თავისუფლება, მერე ღვთისმსახურება.

ძვირფასო ჩანკირელებო, მოგიწოდებთ, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლ ჯარს შეუერთდეთ. სამოთხის კარი შაჰიდებისა და მებრძოლებისათვის მუდამ ღიაა. ღვთის კმაყოფილება წმინდა ომში დაღუპულთა და მებრძოლთათვისაა.

აქიფი კასტამონში, ნასრულლაჰის მეჩეთში

თაისუფლებისათვის ბრძოლის წლებში მეჰმეთ აქიფის გამოსვლები კასტამონში და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. 1920 წლის 19 ნოემბერს აქიფი ჩანკირიდან კასტამონში ჩავიდა და ეს ამბავი ხალხმა ადგილობრივი გაზეთის საშუალებით გაიგო.

კასტამონში აქიფის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოსვლა ნასრულლაჰის მეჩეთ-

ში იყო. აქიფის ეს გამოსვლა დაიბეჭდა გაზეთებში და მთელ ქვეყანაში გავრცელდა. გარდა ამისა, აღნიშნული ქადაგება ცალკე დაიბეჭდა და ქვეყნის ყველა მეჩეთში წაიკითხეს.

წიგნები, სადაც აქიფის ქადაგებებია თავმოყრილი

1. პირველი წიგნი, სადაც აქიფის ქადაგებებია თავმოყრილი არის „რელიგიური სწავლებანი“. პირველი ნაწილი გამოიცა სტამბოლში ჰიჯრით 1328 წელს.

2. ყურანის აიათები და განმარტებანი. თარგმანი მეჰმეთ აქიფის და ომერ რიზა დოღრულის. გამომცემლობა იუქსელი.

3. ყურანის აიათები. ქადაგებები. (ბალკანეთის ომიდან ეროვნულ ბრძოლამდე). მეჰმეთ აქიფ ერსოი, 1873-1936)

4. დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა და მოწოდებები. მეჰმეთ აქიფ ერსოი, ისმაილ ჰაქქი. გამომცემლობა ბაჰარი, 1983.

5. მეჰმეთ აქიფისგან ყურანის განმარტებანი. მეჰმეთ აქიფ ერსოი 1873-1936.

6. ყურანის აიათების განმარტებანი და ქადაგებები. მეჰმეთ აქიფ ერსოი. გამომცემლობა იქმაქი 2010.

7. მეჰმეთ აქიფ ერსოისგან ყურანის განმარტებები და ქადაგებები.

8. დამოუკიდებლობის მარში. ეროვნული ჰიმნი. თავისუფლებისთვის ბრძოლის დროს გაკეთებული გამოსვლები.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity